



Parliament of
Georgia



*****პრეს რელიზი*****

ინვესტიცია ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლესა და განვითარებაში უმნიშვნელოვანესია საქართველოს გრძელვადიანი განვითარებისთვის, ამბობს იუნისეფი

*ეროვნული გეგმა ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარებისთვის გეთავაზობს კონკრეტულ
სტრატეგიას, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს 2015 წლამდე*

თბილისი, 11 ივნისი, 2013 წ. კონფერენციის: „ინვესტიცია საქართველოს მომავალში – ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების ეროვნული გეგმა“ მონაწილეებმა ვალდებულება აიღეს, რომ საქართველოს განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტი მიენიჭოს ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლეს და განვითარებას. მაღალი დონის კონფერენცია ორგანიზებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის), საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, ელჩები და მინისტრები, და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რომ ერთად განიხილონ ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ბავშვები ადრეულ ასაკში.

იუნისეფის კვლევების თანახმად, 77 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს დღეში. ბავშვიანი ოჯახები უფრო ღარიბნი არიან და არასაკმარისად არიან მოცული არსებული სოციალური დაცვის სისტემების მიერ. ხუთ წლამდე ასაკის 1000 ბავშვი კვდება ყოველწლიურად, ძირითადად კვების მწვავე დეფიციტის და უხარისხო პერინატალური ზრუნვის გამო. ბავშვების ნახევარს არ მიუწვდება ხელი სკოლამდელ განათლებაზე, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ სკოლისათვის მზაობაზე და საგანმანათლებლო მიღწევებზე. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა ბავშვთა სახლებში ბავშვების რაოდენობის კლების მხრივ, ყოველწლიურად 400 ექვს წლამდე ასაკის ბავშვი უმეტეს დროს ჯერ კიდევ ატარებს დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებაში, რაც სერიოზულად აფერხებს მათ განვითარებას.

„ახალმა მთავრობამ ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელთა შორისაა ჯანმრთელობის უფასო დაზღვევა, სოციალური შეღავათების გაორმაგება და პენსიების გაზრდა,“ აღნიშნავს იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში, საშა გრაუმანი. „თუმცა, მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, ქვეყანაში უთანასწორობის დონე ერთ-ერთი უმაღლესია ევროპაში. საქართველო ბევრად ნაკლებს ხარჯავს ბიუჯეტიდან განათლებასა და ჯანდაცვაზე, ვიდრე ამ რეგიონის სხვა ქვეყნები და ძალიან ცოტას თანხას ახმარს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებს სხვა ასაკოვან ჯგუფებთან შედარებით. საქართველომ უნდა გადასინჯოს, თუ როგორი სახის ინვესტიციას ჩადებს მომავალში.“ დასძინა გრაუმანმა.

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად შემოთავაზებულია ადრეულ ასაკში სიცოცხლის და განვითარებისთვის ინკლუზიური და ინტეგრირებული პოლიტიკისა და პროგრამების გატარება ექვს

წლამდე ასაკის ყველა ბავშვისთვის. ამისათვის საჭიროა სვადასხვა სამინისტროს და სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია.

კონფერენციაზე მიღებული ეროვნული გეგმა ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლის და განვითარებისთვის ასახავს დაბალხარჯიან, მაღალი ეფექტის და დიდი გავლენის მქონე სტრატეგიებს, რომლებიც საქართველომ უნდა განახორციელოს 2015 წლამდე, კერძოდ:

- ✓ მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ე.ი. ჩარიცხვის არსებული 46% წმინდა მაჩვენებლის (30% ღარიბ ბავშვებში) გაზრდა 100%-მდე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, საოპერაციო ხარჯების დაფარვითა და ხარისხის მინიმალური სტანდარტების დაცვით.
- ✓ გაეროს ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზნის მიღწევა, ე.ი. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება 20,5-დან 16-მდე 1000 ცოცხლად შობილზე კვების დეფიციტის შემცირებისა და პერინატალური ზრუნვის გაუმჯობესების გზით.
- ✓ 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის განახევრების მიზნით, სექტორთაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც დაადგენს 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ბავშვთა საყოველთაო შეღავათის ტიპს და განხორციელების მექანიზმს;
- ✓ 6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის ინსტიტუციური ზრუნვის გამოყენების დასრულება ადრეული ჩარევის მომსახურების გაფართოებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვის შინ მოვლის მომსახურების დანერგვით.

„ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლესა და განვითარებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგია ერის ადამიანური კაპიტალის გაზრდის, სიღარიბის შემცირებისა და უთანასწორობის აღკვეთისათვის. ის, თუ როგორ ვეპყრობით მცირეწლოვან ბავშვებს, განაპირობებს არა მხოლოდ მათ ცხოვრებას, არამედ ჩვენი საზოგადოების მომავალსაც,“ აღნიშნავს საშა გრაუჟმანი.

ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარება არის ჯანდაცვის მომსახურების, ნუტრიციული ინტერვენციების, მშობელთა განათლების პროგრამების, სკოლამდელი განათლების მომსახურების, სიღარიბის დაძლევის და ბავშვზე ზრუნვის მხარდამჭერი ზომების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია 0–5 წლის ასაკის ბავშვებსა და მათ ოჯახებზე. საერთაშორისო მონაცემები ცხადყოფს: ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარებაში ინვესტიცია არა მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე და დაცვაზე ახდენს გავლენას, არამედ საფუძველს უყრის ეკონომიკურ ზრდას საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ :

მაია ქურციკიძე, გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი

ტელ.: (+995 32) 2 232 388; 251 130, მობ.: (+995 599) 53 30 71

ელ-ფოსტა: mkurtsikidze@unicef.org, www.unicef.ge